საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის საპირველმაისო დემონსტრაცია 1901

თბილისის საპირველმაისო დემონსტრაცია 1901, თბილისის მუშების პირველი პოლიტიკური საპირველმაისო დემონსტრაცია. პირველმაისობა თბილისში პირველად 1899, მეორედ 1900 აღინიშნა, თუმცა ორივე შემთხვევაში იგი მოეწყო არალეგალურად და თანაც ქალაქგარეთ (პირველი – ღრმაღელეში, მეორე – მლაშე ტბასთან). დემონსტრაციის ჩატარება გათვალისწინებული იყო 22 აპრილისათვის ყოფილ „სალდათის ბაზართან" (ახლანდ. ორბელიანის მოედანი). მასში მონაწილეობა მიიღო სამიათასზე მეტმა კაცმა და სისხლისმღვრელი შეტაკებით დამთავრდა: დემონსტრაციის ათეულობით მონაწილე დააპატიმრეს, შემდეგ კი რუსეთის შორეულ ადგილებში გადაასახლეს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. 1883–1970, თბ., 1971.